

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC

**ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

გვერდი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი საქმიანობა	9
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4 ფული და ფულის ეკვივალენტები	20
5 გაცემული სესხები	20
6 ძირითადი საშუალებები	22
7 მიღებული სესხები	22
8 საწესდებო კაპიტალი	23
9 საპროცენტო შემოსავალი	23
10 მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	23
11 სხვა შემოსავალი	23
12 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	24
13 გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	24
14 ფინანსური რისკების მართვა	25
15 კაპიტალის მართვა	28
16 დაკავშირებული მხარეები	28
17 პირობითი ვალდებულებები	29
18 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	29
19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

მახარე ჯამრიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშქარა ლაშქარაშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

თარიღი: 31 ივლისი, 2024

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"-ს ხელმძღვანელობა.


ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:


მახარე ჯამრიშვილი
ალმასრულებელი დირექტორი



შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

თარიღი: 31 ივლისი, 2024


ლაშქარა ლაშქარაშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC-ის მენეჯმენტსა და აქციონერს****პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"-ის (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტის პროცესში დავადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ შეესაბამება ფასს 9-ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს. კერძოდ: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია იყენებს ეროვნული ბანკის მიხედვით დადგენილ ვადაგადაცილებულ სესხებზე დაწესებულ სტანდარტულ განაკვეთებს სესხების ჯგუფებად დაყოფის მიზნებისთვის (Loan Staging), რაც წარმოადგენს არასრულ მოდელს ფასს-ის მიხედვით შემუშავებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში, რომელიც ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს მრავალ სხვა კრიტერიუმებს, როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურისაცია, ლიკვიდურობა და ა.შ. ამას გარდა, კომპანიის მიერ გამოყენებული სტანდარტული განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს, როგორებიც არის: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც ფასს 9-ის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისთვის დანერგა ფასს 9 - შესაბამისი სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული სესხების გაუფასურების რეზერვის ნაშთისა და სრული შემოსავლების ანგარიშგების მუხლის "ცვლილება საეჭვო ვალების რეზერვში" შეფასების სისწორეში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტის პირობითი მოსაზრებისთვის.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ, რომელზეც ჩვენ დამატებით გამოვთქვავთ მოსაზრებას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვეგვიძავეთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სოფიო აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-417263

თარიღი: 31 ივლისი, 2024
თბილისი, საქართველო



შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	1,412,388	1,141,574
გაცემული სესხები	5	9,396,470	8,150,576
ძირითადი საშუალებები	6	86,844	166,917
არამატერიალური აქტივები		-	103
სხვა აქტივები		49,432	88,522
სულ აქტივები		10,945,134	9,547,692
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7	5,416,846	6,071,782
საიჯარო ვალდებულება	6	15,418	69,340
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	13	15,360	1,501
სხვა ვალდებულებები		51,741	83,426
სულ ვალდებულებები		5,499,365	6,226,049
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	1,200,000	1,080,000
საერთო რეზერვი		5,000	5,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		4,240,769	2,236,643
სულ კაპიტალი		5,445,769	3,321,643
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,945,134	9,547,692

მასხარე ჯამრიშვილი
 აღმასრულებელი დირექტორი

ლაშქარა ლაშქარაშვილი
 მთავარი ბუღალტერი


შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"


თარიღი: 31 ივლისი, 2024

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	1,412,388	1,141,574
გაცემული სესხები	5	9,396,470	8,150,576
ძირითადი საშუალებები	6	86,844	166,917
არამატერიალური აქტივები		-	103
სხვა აქტივები		49,432	88,522
სულ აქტივები		10,945,134	9,547,692
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	7	5,416,846	6,071,782
საიჯარო ვალდებულება	6	15,418	69,340
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	13	15,360	1,501
სხვა ვალდებულებები		51,741	83,426
სულ ვალდებულებები		5,499,365	6,226,049
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	1,200,000	1,080,000
საერთო რეზერვი		5,000	5,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		4,240,769	2,236,643
სულ კაპიტალი		5,445,769	3,321,643
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,945,134	9,547,692


 მახარე ჯამრიშვილი
 აღმასრულებელი დირექტორი




 ლაშქარა ლაშქარაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

თარიღი: 31 ივლისი, 2024

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	9	1,680,015	1,450,257
საპროცენტო ხარჯი	7	(825,976)	(829,335)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		854,039	620,922
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	9	512,654	607,029
მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	10	210,885	(40,329)
სხვა შემოსავალი	11	101,329	48,000
საოპერაციო შემოსავალი		1,678,907	1,235,622
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(566,148)	(506,757)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(89,533)	(92,126)
ცვლილება დასაკუთრებული ქონების რეზერვში		8,448	(4,873)
ცვლილება საეჭვო ვალების რეზერვში	5	1,141,991	(26,571)
მოგება დაბეგვრამდე		2,173,665	605,295
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(146,381)	(114,653)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		2,027,284	490,642
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)		2,027,284	490,642

მახარე ჯამრიშვილი
 აღმასრულებელი დირექტორი

ლაშქარა ლაშქარაშვილი
 მთავარი ბუღალტერი


შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"


შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

თარიღი: 31 ივლისი, 2024

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	9	1,680,015	1,450,257
საპროცენტო ხარჯი	7	(825,976)	(829,335)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		854,039	620,922
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	9	512,654	607,029
მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	10	210,885	(40,329)
სხვა შემოსავალი	11	101,329	48,000
საოპერაციო შემოსავალი		1,678,907	1,235,622
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(566,148)	(506,757)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(89,533)	(92,126)
ცვლილება დასაკუთრებული ქონების რეზერვში		8,448	(4,873)
ცვლილება საეჭვო ვალების რეზერვში	5	1,141,991	(26,571)
მოგება დაბეგვრამდე		2,173,665	605,295
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(146,381)	(114,653)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		2,027,284	490,642
სხვა სრული შემოსავლები		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)		2,027,284	490,642


 მასარე ჯამრიშვილი
 აღმასრულებელი დირექტორი





ლაშქარა ლაშქარაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

თარიღი: 31 ივლისი, 2024

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა	2023	2022
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	9,300,794	9,937,129
საპროცენტო შემოსავლები	1,640,113	1,926,995
სხვა საოპერაციო შემოსავლები	9,593	956,299
გაცემული სესხები	(8,812,578)	(10,264,585)
გადახდილი ხელფასები	(327,011)	(266,876)
გადახდილი გადასახადები	(201,966)	(135,100)
საოპერაციო ხარჯები	(160,876)	(154,488)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,448,069	1,999,373
ძირითადი საშუალებების შეძენა	(7,721)	(3,678)
აუქციონით დასაკუთრებული ქონება	-	(96,188)
შემოსავალი აქტივების გაყიდვიდან	51,563	80,917
სხვაობა ფულადი გზავნილების შემოსვლასა და გასვლას შორის	(22,578)	(3,624)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	21,264	(22,573)
გადახდილი დივიდენდები	(24,000)	(46,000)
მიღებული სესხები	10,386,260	22,715,909
სესხის ძირითადი თანხების დაფარვა	(11,025,269)	(22,442,206)
კაპიტალის შევსება	120,000	30,000
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(57,840)	(53,020)
სესხის პროცენტის დაფარვა	(821,654)	(801,219)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,422,503)	(596,537)
საკუროს სხვაობის შედეგი	223,984	(1,028,749)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	46,830	1,380,264
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,141,574	790,060
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	4	1,141,574

მახარე ჯამრიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

ლაშქარა ლაშქარაშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

თარიღი: 31 ივლისი, 2024

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა	2023	2022
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	9,300,794	9,937,129
საპროცენტო შემოსავლები	1,640,113	1,926,995
სხვა საოპერაციო შემოსავლები	9,593	956,299
გაცემული სესხები	(8,812,578)	(10,264,585)
გადახდილი ხელფასები	(327,011)	(266,876)
გადახდილი გადასახადები	(201,966)	(135,100)
საოპერაციო ხარჯები	(160,876)	(154,488)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,448,069	1,999,373
ძირითადი საშუალებების შეძენა	(7,721)	(3,678)
აუქციონით დასაკუთრებული ქონება	-	(96,188)
შემოსავალი აქტივების გაყიდვიდან	51,563	80,917
სხვაობა ფულადი გზავნილების შემოსვლასა და გასვლას შორის	(22,578)	(3,624)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	21,264	(22,573)
გადახდილი დივიდენდები	(24,000)	(46,000)
მიღებული სესხები	10,386,260	22,715,909
სესხის ძირითადი თანხების დაფარვა	(11,025,269)	(22,442,206)
კაპიტალის შევსება	120,000	30,000
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(57,840)	(53,020)
სესხის პროცენტის დაფარვა	(821,654)	(801,219)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,422,503)	(596,537)
საკურსო სხვაობის შედეგი	223,984	(1,028,749)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	46,830	1,380,264
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,141,574	790,060
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1,412,388	1,141,574

მახარე ჯამრეშვილი
 აღმასრულებელი დირექტორი



შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

თარიღი: 31 ივლისი, 2024

ლაშქარა ლაშქარაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	საერთო რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,050,000	5,000	1,796,528	2,851,528
საწესდებო კაპიტალი	30,000	-	-	30,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	-	-	490,642	490,642
საერთო რეზერვი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(50,527)	(50,527)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,080,000	5,000	2,236,643	3,321,643
საწესდებო კაპიტალი	120,000	-	-	120,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	-	-	2,027,284	2,027,284
საერთო რეზერვი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(23,158)	(23,158)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,200,000	5,000	4,240,769	5,445,769

მახარე ჯამრიშვილი
 აღმასრულებელი დირექტორი

ლაშქარა ლაშქარაშვილი
 მთავარი ბუღალტერი


შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"


შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

თარიღი: 31 ივლისი, 2024

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	საერთო რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,050,000	5,000	1,796,528	2,851,528
საწესდებო კაპიტალი	30,000	-	-	30,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	-	-	490,642	490,642
საერთო რეზერვი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(50,527)	(50,527)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,080,000	5,000	2,236,643	3,321,643
საწესდებო კაპიტალი	120,000	-	-	120,000
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	-	-	2,027,284	2,027,284
საერთო რეზერვი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(23,158)	(23,158)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,200,000	5,000	4,240,769	5,445,769


 მაზარე ჯამრიშვილი
 აღმასრულებელი დირექტორი



შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

თარიღი: 31 ივლისი, 2024


 ლაშქარა ლაშქარაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) დარეგისტრირდა 2012 წლის 30 იანვარს. კომპანიის იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. რუსთავი, მესხიშვილი - ლეონიდის ქუჩების გადაკვეთის ჩრდილოეთის მიმდებარე ტერიტორია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის მიერ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია თავდებობით ან უძრავი/მოძრავი ქონებით. კომპანიის მიერ გაცემული სესხებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია თანხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს ასი ათას ლარს ერთ სესხზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC -ის დამფუძნებელია:

დამფუძნებელი	31-დეკ-23	31-დეკ-22
მახარე ჯამრიშვილი	100%	100%
	100%	100%

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 1,000,000 ლარი) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასს-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად ერთ ინდივიდზე 100,000 ლარზე მეტი თანხის გაცემა.

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2023 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 53 ქულაა (180 ქვეყანას შორის 49-ე ადგილს იკავებს). საქართველოს შედეგი გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესდა 1 ქულით. (2022 წელს 56 ქულა).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2024 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებები:

ბასს 12-ის შესწორებები - „ერთი ოპერაციის შედეგად წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“

ეს შესწორების დოკუმენტი მოითხოვს, რომ ჯგუფმა მთლიანი (ბრუტო) თანხით აღიაროს იმ საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წინათ აღიარებული იყო ნეტო საფუძველზე. ეს გავლენას არ ახდენს ბალანსში ასახულ თანხებზე, ვინაიდან ეს თანხები ისევ ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება ბასს 12-ის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, მე-8 შენიშვნაში ზემოაღნიშნული თანხები წარმოდგენილია ბრუტო სახით. წინა პერიოდში გამჟღავნებული მონაცემები ასევე შეიცვალა ამ შესწორებების დოკუმენტში გათვალისწინებული გარდამავალი დებულებების შესაბამისად;

ბასს 12-ის შესწორებები – „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე პილარის მოდელის წესები“.

ზემოაღნიშნული შესწორებები კომპანიას საშუალებას აძლევს, არ აღიაროს ის გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მეორე პილარის საგადასახადო რეფორმასთან. საგადასახადო რეფორმის (მეორე პილარის კანონმდებლობის ძალაში შესვლის) მდგომარეობის გაურკვეველი ხასიათის გამო, ჯგუფმა ვერ შეძლო ამ რეფორმის მოსალოდნელი რაოდენობრივი გავლენის შეფასება იმ გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული არ იყო მიმდინარე პერიოდში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. წინა პერიოდში არანაირი თანხები არ არის აღიარებული მეორე პილარის მოდელის წესებთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც უნდა გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული შესწორება.

3.4 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ბასს 1-ის შესწორებები – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად და ბასს 1-ის შესწორებები – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით.

ზემოაღნიშნული ორივე შესწორების დოკუმენტი ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, ასევე კომპანიის მიერ გამოშვებული ყველა კონვერტირებადი სავალო ვალდებულების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, თუ ვალდებულება მოიცავს კონვერტაციის პირობას. ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ზოგიერთი ვალის კლასიფიკაციაზე და შესაძლოა სავალდებულო იყოს განმარტებითი შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება არსებული კოვენანტების გაავლენის შესახებ კომპანიაზე.

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები – მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ეს შესწორებები გავლენას არ იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე, მაგრამ აუცილებელი იქნება განმარტებითი შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება კომპანიის მიერ მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

დასაკუთრებული უზრუნველყოფის შეფასება

დასაკუთრებული უზრუნველყოფა მოიცავს შენობა-ნაგებობებს, რომლებიც ფასდება შედარებით დაბალი ფასით და სამართლიან ღირებულებაზე სარეალიზაციო ფასის გამოკლების გზით. უძრავი ქონების შეფასებას ახასიათებს გაურკვევლობა და ეყრდნობა ვარაუდებს. გარდა ამისა, კომპანიას არ ჩაურთავს გარე შემფასებლები. უძრავი ქონების ობიექტები უმეტესად ქალაქ თბილისშია განთავსებული, სადაც მეორადი ბაზარი შედარებით ლიკვიდურია და აქ ხელმისაწვდომია შედარებადი ინფორმაცია. კომპანიამ განსაზღვრა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობს დასაკუთრებული აქტივები, რომლისთვისაც სამართლიან ღირებულებაზე გამოკლებული გასაყიდი ღირებულების გამოკლებით თვითღირებულებაზე ნაკლები თანხა მიიღება. შესაბამისად, დასაკუთრებულ აქტივებთან დაკავშირებით მოგებაში ან ზარალში გაუფასურების კორექტირებები არ აღიარებულა. დამატებითი ღებულებები წარმოდგენილია მე-7 შენიშვნაში.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ექვეტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ასახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ გაცემული სესხებზე, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორთფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა (დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6).

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით, გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირებულია თუ არ აღიარებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასის 9 -ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ზორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ექვეტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსაზღვრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ექვეტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებას, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს მიმდინარე ანგარიშებზე.

3.7 გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებას (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია) დამატებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით.

სესხის ამორტიზებული ღირებულება არის სესხის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის, გამოკლებული სესხის გაუფასურება. შენატანები და შედავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

2023 წლის 1 იანვრიდან კომპანია სესხის გაუფასურების რეზერვის შესაქმნელად იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს (ECL), კერძოდ კომპანია შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს სხვა კრიტერიუმებს, როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურისაცია, საგადასახადო შემოწმება, სესხების წინსწრებით დაფარვა, ლიკვიდურობა და ა.შ. გარდა ამისა, მოდელში გამოიყენება საპროგნოზო მაკროეკონომიკური ინფორმაცია და ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). აქვე აღსანიშნია, რომ 2023 წლის 1 იანვრამდე კომპანია გაუფასურების ანარიცხს ქმნიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N51-ის მიხედვით (აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ).

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამომანგარიშებელია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივების ჯგუფი	შეფასებული საექსპლუატაციო ვადები
ავტო სატრანსპორტო საშუალებები	5 - 10 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი	5 - 10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 - 10 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შესაბამისა თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მენეჯმენტი განიხილავს, ხომ არ არის რაიმე ინდიკატორები იმისა, რომ ძირითადი საშუალებების, რომელიმე ელემენტი შესაძლოა გაუფასურებული იყოს. თუკი ასეთი ინდიკატორები არსებობს, შემდეგ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მისი აღდგენით ღირებულების (რომელიც არის აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის წმინდა სარგალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულება) შედარება. თუკი აღმოჩნდება, რომ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც ჩანს, რომ გაუფასურება აღარ არსებობს ან შემცირებულია. გაუფასურების ზარალის აღდგენა ჩაირთვება მოგება-ზარალის იმავე მუხლში, რომელშიც გაუფასურების ზარალის ხარჯი აღიარდება. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება ისეთნაირად, რომ ამ აღდგენის შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ექნებოდა აქტივის ადრე რომ არ ყოფილიყო გაუფასურების ზარალი აღიარებული.

3.9 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებულნი არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრი) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებაზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.9 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააკეს მოგების განაწილებაზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი თავდაპირველად ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან საფინანსო დაწესებულებებისთვის.

2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მნიშვნელოვანი ცვლილებები. კონკრეტული ცვლილებები შევიდა საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო გაერთიანებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი საწარმოების დაბეგვრის რეჟიმში, მათ შორის საპროცენტო შემოსავლის და პოტენციური ზარალის რეზერვების აღრიცხვის სტანდარტების განსაზღვრის ჩათვლით. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების თანახმად:

- * მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო გაერთიანებებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი საწარმოებისთვის წარმოადგენს სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ დაქვითვებს შორის.

- * კომერციული ბანკები, საკრედიტო გაერთიანებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სესხებზე დარიცხულ პროცენტს აღიარებენ, როგორც შემოსავალს და სესხით შესაძლო ზარალის რეზერვს დაქვითავენ მთლიანი შემოსავლიდან, ფასს სტანდარტის შესაბამისად.

- * მოგების გადასახადის განაკვეთი კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო გაერთიანებებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი საწარმოებისთვის 20%-ს შეადგენს.

- * კომერციული ბანკების, საკრედიტო გაერთიანებების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი საწარმოების მიერ 2023 წლის და მომდევნო პერიოდების მოგებიდან გაცემული დივიდენდები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან და არ უნდა იყოს შესული დივიდენდების მიღების მთლიან შემოსავალში.

3.10 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებსა და გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით.

გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.11 იჯარა

განსაზღვრება იმისა შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიცემის სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულ ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალებისა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად.

აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

საიჯარო ვალდებულება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც შეადგენს წლიურ 11%-ს.

ზოგადად, საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

კომპანიის შემთხვევაში, საიჯარო გადახდები მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახდელებს ლარში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

3.12 მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

3.13 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ღირებულებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.14 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორობა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორობა შენატანია.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

3.15 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთისგან გარიგებისთვის, ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

3.16 ჯარიმები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

3.17 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-დეკ-23	31-დეკ-22
აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ევრო	2.9753	2.8844

3.18 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად. შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.19 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

საიჯარო ვადის განსაზღვრა - საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს, რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი ან არ გამოიყენოს შეწყვეტის ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება გარემოებებში, რომელიც გააღიანას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქმედებს მოიჯარის კონტრაქტის ფარგლებში.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრა - როდესაც კომპანიას არ შეუძლია ადვილად განსაზღვროს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. შესაბამისად, ზღვრული სასესხო განაკვეთი საჭიროებს შეფასების გაკეთებას, როდესაც კომპანიისთვის არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული ანალოგიები ან როდესაც საჭიროა მათი იმჟამად დაკორექტირება რომ ასახოს იჯარის პირობები.

ზოგადად კომპანია ზღვრულ სასესხო განაკვეთს აფასებს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით (როგორცაა საკუთარ მოზიდულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ან/და კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი იჯარის მსგავს სესხებზე).

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება - ქვემოთ მოცემულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების შეფასებაზე:

დეფოლტის ალბათობა (PD): წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი. სამომავლო მოლოდინები დაანგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური სცენარებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.19 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (LGD): წარმოადგენს შესაძლო ზარალის შეფასებას, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL): მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას გამოყენებულია გონივრული და ფაქტებით გამყარებული საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ. დეტალური ინფორმაცია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტის შესახებ მოცემულია 5.2 შენიშვნაში.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფული ბანკში	54,988	52,161
საღარი	1,357,400	1,089,413
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,412,388	1,141,574

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-23	31-დეკ-22
ლარი	377,874	465,150
უცხოური ვალუტა	1,034,514	676,424
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,412,388	1,141,574

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, BB -ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი), B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი).

5 გაცემული სესხები

კომპანია სესხებს გაცემის ინდივიდუალურ მეწარმეებზე და ფიზიკურ პირებზე საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების მიზნით. კომპანიის მიერ გაცემული ყველა სესხი არის მოკლევადიანი. სესხები არის უზრუნველყოფილი თავდებობით ან უძრავი/მოძრავი ქონებით. გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება (სესხის გაუფასურების რეზერვის გამოკლების გარეშე) ნაკლებია მათი შესაბამისი უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებებთან მიმართებაში (გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით: რეალურ ღირებულებას გამოკლებული გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები).

მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის

5.1 მიხედვით	31-დეკ-23	31-დეკ-22
ძირი	9,992,015	10,016,353
პროცენტი	206,958	7,734
მთლიანი სასესხო პორტფელი	10,198,973	10,024,087
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(802,503)	(1,873,511)
წმინდა პორტფელი	9,396,470	8,150,576

5 გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3
ოქროს ლომბარდი	-	6,871,090	1,200,508
ავტო ლომბარდი	-	592,989	292,702
იპოთეკა	-	610,320	485,197
ტექნიკის ლომბარდი	-	69,944	76,223
მთლიანი სასესხო პორტფელი	-	8,144,343	2,054,630
მინუს: გაუფასურების რეზერვი	-	(82,679)	(719,824)
წმინდა პორტფელი	-	8,061,664	1,334,806

5.2 სესხების გაუფასურების რეზერვი

გაცემული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სულ გაცემული სესხები	ECL	გაცემული სესხები წმინდა
მიმდინარე	7,209,947	(71,316)	7,138,631
1-30 დღის ვადაგადაცილება	481,774	(7,243)	474,531
31-60 დღის ვადაგადაცილება	278,915	(2,752)	276,163
61-90 დღის ვადაგადაცილება	141,763	(1,368)	140,395
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2,086,574	(719,824)	1,366,750
მთლიანი გაცემული სესხები	10,198,973	(802,503)	9,396,470

გაუფასურების რეზერვი	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3
ოქროს ლომბარდი	-	37,119	105,754
ავტო ლომბარდი	-	22,202	210,924
იპოთეკა	-	15,384	336,682
ტექნიკის ლომბარდი	-	7,975	66,463
სულ გაუფასურების რეზერვი	-	82,680	719,823

2022 წელს კომპანია გაცემულ სესხებს არეზერვებს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. 30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებაში მყოფი სესხი რეზერვდება 30%-ით, 60-დან 120 დღემდე 50%-ით, ხოლო 120 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში რეზერვდება 100%-ით. რეზერვდება როგორც მისაღები ძირი, ასევე გადასახდელი პროცენტი.

ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში

ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	2022
პლიუს: მიმდინარე პერიოდის საეჭვო სესხები	1,960,736
მინუს: აღდგენილი საეჭვო სესხები	(265,046)
	177,821
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,873,511

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

5 გაცემული სესხები (გაგრძელება)

5.2 სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

ვადაგადაცილებული დღეები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეზერვის პროცენტი	სესხის თანხა	რეზერვის თანხა
0-30	0%	7,644,990	305,114
31-60	10%	254,849	26,012
61-90	10%-30%	315,175	34,483
91-120	30%	209,830	64,652
121-150	30%-50%	149,626	51,617
151-180	50%	118,923	60,939
>180	100%	1,330,694	1,330,694
სულ		10,024,087	1,873,511

6 ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	უფლება აქტივის გამოყენებაზე *	სულ
31-დეკ-21	31,312	94,237	94,393	135,997	355,939
შეძენები	-	-	28,514	109,534	138,048
ჩამოწერები	-	(17,000)	(5,628)	(46,581)	(69,209)
31-დეკ-22	31,312	77,237	117,279	198,950	424,778
შეძენები	-	-	9,460	-	9,460
ჩამოწერები	-	-	-	(89,417)	(89,417)
31-დეკ-23	31,312	77,237	126,739	109,533	344,821
დაგროვილი ცვეთა					
31-დეკ-21	(17,434)	(39,894)	(29,532)	(84,004)	(170,864)
პერიოდის ცვეთა	(4,528)	(16,014)	(17,369)	(54,215)	(92,126)
ცვეთის ჩამოწერა	-	4,533	596	-	5,129
31-დეკ-22	(21,962)	(51,375)	(46,305)	(138,219)	(257,861)
პერიოდის ცვეთა	(3,442)	(12,862)	(18,462)	(54,767)	(89,533)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	89,417	89,417
31-დეკ-23	(25,404)	(64,237)	(64,767)	(103,569)	(257,977)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31-დეკ-21	13,878	54,343	64,861	51,993	185,075
31-დეკ-22	9,350	25,862	70,974	60,731	166,917
31-დეკ-23	5,908	13,000	61,972	5,964	86,844

* კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები, სადაც წარმოდგენილია, როგორც მეიჯარე-კომპანიამ იჯარა აიღო უძრავი ქონებისა და საოფისე ინვენტარისათვის შემდეგი ყოველთვიური გადახდებით - 400 ლარი, 1,500 ლარი და 3,000 ლარი (2023 წლის 1 აგვისტოდან ყოველთვიური გადასახდელი 3,000 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 4,500 ლარით).

7 მიღებული სესხები

	31-დეკ-23	31-დეკ-22
მიღებული სესხები ბანკებისგან დოლარში	502,791	513,497
მიღებული სესხები ბანკებისგან ლარში	4,506,025	4,336,214
მიღებული სესხები ფიზიკური პირებისგან ლარში	408,030	1,059,875
მიღებული სესხები ფიზიკური პირებისგან დოლარში	-	162,196
სულ მიღებული სესხები	5,416,846	6,071,782
მიღებული სესხების ვადიანობა		
გრძელვადიანი სესხები	5,408,816	6,049,303
გადასახდელი პროცენტი	8,030	22,479
სულ მიღებული სესხები	5,416,846	6,071,782

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

7 მიღებული სესხები (გაგრძელება)

საპროცენტო ხარჯი	2023	2022
საპროცენტო ხარჯი აშშ დოლარში	64,269	98,753
საპროცენტო ხარჯი ლარში	761,707	730,582
სულ საპროცენტო ხარჯი	825,976	829,335

ფიზიკური პირისაგან, მასხარე ჯამრიშვილისაგან, მიღებულია ერთი სესხი ლარში, ხოლო ერთი სესხი დოლარში. პირველი, 2019 წლის 17 ოქტომბერს მიღებულია 250,000 დოლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთი 9%, რომელიც 2023 წლის განმავლობაში ჩაიხურა. მეორე, 2019 წლის 17 ნოემბერს მიღებულია 1,000,000 ლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთი 12.7%.

სს "თიბისი ბანკი"-სგან მიღებულია ორი სესხი - ერთი უზრუნველყოფილი, ერთი საბლანკო (ბიზნესსესხი). პირველი, საკრედიტო ხაზი დოლარში, რომლის თავდაპირველი მიღების თარიღია 2017 წლის 31 მარტი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ნაშთი არის 493,473 ლარი (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 441,034 დოლარი). წლიური საპროცენტო განაკვეთი 11%.

მეორე, საკრედიტო ხაზი ლარში, რომლის თავდაპირველი მიღების თარიღია 2020 წლის 31 იანვარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ნაშთი არის 2,765,370 ლარი (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2,117,508 ლარი). წლიური საპროცენტო განაკვეთი 14.5%.

სს "საქართველოს ბანკი"-სგან მიღებულია ერთი სესხი ლარში, რომლის მიღების თარიღია 2022 წლის 25 ოქტომბერი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ნაშთი არის 1,751,794 ლარი (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2,218,706 ლარი). წლიური საპროცენტო განაკვეთი 14%.

8 საწესდებო კაპიტალი

2023 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 120,000 ლარით. საბოლოოდ, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 1,200,000 ლარი (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,080,000 ლარი).

კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში გაანაწილა დივიდენდი 23,158 ლარის ოდენობით (2022 წლის განმავლობაში: 50,527 ლარი).

9 საპროცენტო შემოსავალი

კომპანიის საპროცენტო შემოსავლები პროდუქტების მიხედვით	2023	2022
იპოთეკური სესხი	236,072	145,864
ლომბარდი	1,443,943	1,304,393
სულ	1,680,015	1,450,257

საპროცენტო და ჯარიმიდან მიღებული შემოსავალი	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	1,680,015	1,450,257
ჯარიმიდან მიღებული შემოსავალი	512,654	607,029
სულ საპროცენტო და ჯარიმიდან მიღებული შემოსავალი	2,192,669	2,057,286

10 მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

	2023	2022
შემოსავალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	894,716	1,945,398
ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(683,831)	(1,985,727)
სულ მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	210,885	(40,329)

11 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოადგენს დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას, რომელიც 2023 წელს შეადგენს 101,329 ლარს (2022 წელი: 48,000 ლარი).

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

12	საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
	ხელფასის ხარჯი	406,896	331,670
	იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	37,854	19,839
	სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯი	29,848	36,080
	საკომისიო ხარჯები	12,637	24,791
	კომუნიკაციის ხარჯი	16,365	11,390
	კომუნალური ხარჯი	14,871	18,218
	დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	-	29,455
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	-	7,617
	საგადასახადო ხარჯები	-	1,088
	სხვა საერთო ხარჯი	47,677	26,609
	სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	566,148	506,757

13 გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)

ცვლილება წლის განმავლობაში - სარგებელი /(ხარჯი)	31-დეკ-23	31-დეკ-22
ძირითადი საშუალებები	(12,276)	(25,038)
სხვა აქტივები	-	33,938
ფინანსური იჯარა	(3,084)	(10,401)
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	(15,360)	(1,501)

გადასახადების გადავადების მიზეზები მოკლედ ქვემოთ არის მოცემული:

ძირითადი საშუალებები - საქართველოს საგადასახადო კოდექსს და ფასს-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, ცვეთის მეთოდებში, სასარგებლო მომსახურეობის ვადების განსაზღვრაში და გაუფასურების ზარალის აღიარებაში, რომლებიც წარმოშობს განსხვავებებს ფასს-ის მიერ განსაზღვრულ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებსა და ამ აქტივების საგადასახადო ბაზას შორის. ეს სხვაობები წარმოშობს გადავადებულ გადასახადებს. ასევე, ზოგიერთი ძირითადი საშუალების ჩამოწერა, რომელიც ასახულია ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ პერიოდში შეიძლება გამოიქვეთოს საგადასახადო მიზნებისთვის მხოლოდ შემდგომ პერიოდში, როცა მოხდება კონკრეტული ადმინისტრაციული პროცედურების დასრულება.

აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები - საქართველოს საგადასახადო კოდექსს და ფასს-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, კერძოდ ფასს-ის მიხედვით იჯარა ხარჯად აღიარდება ცვეთის და საპროცენტო ხარჯის სახით, ხოლო საგადასახადო კოდექსის მიხედვით ხარჯად აღიარდება მხოლოდ საკონტრაქტო ღირებულება.

ცვლილება გადავადებულ გადასახადში წლის განმავლობაში	2023	2022
წლის დასაწყისი - აქტივი (ვალდებულება)	(1,501)	17,222
ცვლილება წლის განმავლობაში - სარგებელი /(ხარჯი)	(13,859)	(18,723)
გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება) წლის ბოლოს	(15,360)	(1,501)
მიმდინარე წლის მოგების გადასახადის ხარჯი	2023	2022
ნორმატიული საგადასახადო ხარჯი	(132,522)	(95,930)
ეფექტი გადავადებულ გადასახადზე	(13,859)	(18,723)
სულ მოგების გადასახადისგან (ხარჯი)/სარგებელი	(146,381)	(114,653)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

14 ფინანსური რისკების მართვა

14.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები - კომპანიის მიერ მიღებული სესხების ნაწილი მიღებულია აშშ დოლარში. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისათვის.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში).

2023 წლის 31

დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	377,870	85,360	463,924	485,234	1,412,388
გაცემული სესხები (წმინდა)	9,110,730	285,740	-	-	9,396,470
სხვა აქტივები (ავანსების გარეშე)	49,432	-	-	-	49,432
სულ ფინანსური აქტივები	9,538,032	371,100	463,924	485,234	10,858,290
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	4,914,055	502,791	-	-	5,416,846
საიჯარო ვალდებულება	15,418	-	-	-	15,418
სხვა ვალდებულებები (ავანსების გარეშე)	44,584	-	-	-	44,584
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,974,057	502,791	-	-	5,476,848
	4,563,975	(131,691)	463,924	485,234	

წმინდა სავალუტო პოზიცია

2022 წლის 31

დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა ვალუტა	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	465,150	88,054	137,532	450,838	1,141,574
გაცემული სესხები (წმინდა)	7,651,434	499,142	-	-	8,150,576
სხვა აქტივები (ავანსების გარეშე)	88,522	-	-	-	88,522
სულ ფინანსური აქტივები	8,205,106	587,196	137,532	450,838	9,380,672
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	5,396,088	675,694	-	-	6,071,782
საიჯარო ვალდებულება	69,340	-	-	-	69,340
სხვა ვალდებულებები (ავანსების გარეშე)	21,630	-	-	-	21,630
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,487,058	675,694	-	-	6,162,752
	2,718,048	(88,498)	137,532	450,838	

წმინდა სავალუტო პოზიცია

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

14 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

14.1 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიას სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

		2023	2022
ვალუტა	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	გავლენა მოგებაზე
აშშ დოლარი	-10%	13,169	8,850
	-5%	6,585	4,425
	5%	(6,585)	(4,425)
	10%	(13,169)	(8,850)

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის არსებულ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება იმ მონაცემებს, რასაც მენეჯმენტი შიდა მმართველობითი მიზნებისათვის იყენებს.

2023 წლის 31

დეკემბრისათვის	< 1 წელზე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	> 5 წელზე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,412,388	-	-	-	1,412,388
გაცემული სესხები	7,807,397	644,809	450,761	493,503	9,396,470
სხვა აქტივები	49,432	-	-	-	49,432
სულ აქტივები	9,269,217	644,809	450,761	493,503	10,858,290
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	1,751,794	2,765,370	408,031	491,651	5,416,846
საიჯარო ვალდებულება	-	15,418	-	-	15,418
სხვა ვალდებულებები	51,741	-	-	-	51,741
სულ ვალდებულებები	1,803,535	2,780,788	408,031	491,651	5,484,005
ლიკვიდურობის სხვაობა	7,465,682	(2,135,979)	42,730	1,852	5,374,285
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	7,465,682	(2,135,979)	42,730	1,852	

2022 წლის 31

დეკემბრისათვის	< 1 წელზე	1-3 წლამდე	3-5 წლამდე	> 5 წელზე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,141,574	-	-	-	1,141,574
გაცემული სესხები	7,436,103	391,656	134,144	188,673	8,150,576
სხვა აქტივები	88,522	-	-	-	88,522
სულ აქტივები	8,666,199	391,656	134,144	188,673	9,380,672
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	184,600	3,668,477	2,218,705	-	6,071,782
საიჯარო ვალდებულება	-	69,340	-	-	69,340
სხვა ვალდებულებები	83,426	-	-	-	83,426
სულ ვალდებულებები	268,026	3,737,817	2,218,705	-	6,224,548
ლიკვიდურობის სხვაობა	8,398,173	(3,346,161)	(2,084,561)	188,673	3,156,124
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	8,398,173	(3,346,161)	(2,084,561)	188,673	

14 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

14.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან და სესხებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფული ბანკში	54,988	52,161
გაცემული სესხები	9,396,470	8,150,576
სულ	9,451,458	8,202,737

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანიას შემუშავებული აქვს არაფორმალური საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ყვრდნობა რუსთავის ბაზარზე არსებულ კლიენტებზე ინფორმაციის დეტალურ მოძიებას და შესწავლას, რის შემდეგაც ხდება გადაწყვეტილების მიღება სესხის გაცემა-არგაცემაზე.

14.3 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია, განისაზღვროს ის ღირებულება რაც, შეფასების თარიღისათვის, შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია ფართოდ იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო/ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

საანგარიშო თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეალური ღირებულების შეფასების მეთოდები ეფუძნება, მათ შორის, თვალსაჩინო არასაბაზრო მონაცემების გამოყენებას.

14.4 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის შემავალი მონაცემების შემდეგ იერარქიას იყენებს:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები აქტიურ ბაზარზე.

დონე 2 შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი (მაგრამ არა იდენტური) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის; ან შეფასების სხვა ისეთი მეთოდები, რომელთა ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემი ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

14 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

14.4 რეალური ღირებულების იერარქია

ღონე 3 მონაცემები, რომლებიც ღიად ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის შეფასების მეთოდიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ღიად ხელმისაწვდომ მონაცემებს და ასეთი არახელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

15 კაპიტალის მართვა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი მინიმალური საზედამხებელო კაპიტალის მოთხოვნის ადეკვატურობის ანალიზი, საიდანაც დგინდება კაპიტალის ადეკვატურობა მოთხოვნასთან მიმართებაში.

	31-დეკ-23	31-დეკ-22
საწესდებო კაპიტალი	1,080,000	1,050,000
კაპიტალის ზრდა	120,000	30,000
სულ კაპიტალი	1,200,000	1,080,000

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მინიმალური ლიმიტი საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად შეადგენდა 1,000,000 ლარს.

16 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-23	საიჯარო ვალდებულება	მიღებული სესხები	გადასახდელი პროცენტი
მეწილეები	15,418	400,000	8,031
სულ	15,418	400,000	8,031

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წელი	ღირებულება	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	23,158	77,383	30,000
ხელმძღვანელობის წევრები	-	-	18,000
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	52,750
სულ	23,158	77,383	100,750

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-22	საიჯარო ვალდებულება	მიღებული სესხები	გადასახდელი პროცენტი	გაცემული სესხები
მეწილეები	65,500	1,212,120	9,951	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	3,840	-	-	4,150
სულ	69,340	1,212,120	9,951	4,150

16 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წელი	დივიდენდი	საპროცენტო შემოსავალი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	50,526	-	165,753	27,600
ხელმძღვანელობის წევრები	-	292	-	19,875
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	-	45,300
სულ	50,526	292	165,753	92,775

17 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

18 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ 2024 წლის 16 იანვრიდან 2024 წლის 01 ივლისის ჩათვლით პერიოდში გასცა დივიდენდი 27,500 ლარის ოდენობით.

2024 წლის 16 იანვარს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 50,000 ლარის ოდენობით.

კომპანიამ 2024 წელს 3 იანვრიდან 2024 წლის 11 ივლისის ჩათვლით პერიოდში ბანკისაგან მიიღო სესხი 8,425,078 ლარის ოდენობით. 2024 წლის 9 იანვრიდან 2024 წლის 11 ივლისის ჩათვლით პერიოდში დაფარა სესხი 6,683,702 ლარის ოდენობით.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"-ს ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC"-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 31 ივლისს, რომელიც მოიცავდა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

სოფიო აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-A-417263

თარიღი: 30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“

მმართველობის ანგარიშგება

შინაარსი:

1. კომპანიის შესახებ;
2. შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“-ის საქმიანობის მიმოხილვა;
3. კომპანიის განვითარების გეგმები;
4. ინფორმაცია კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ;
5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა.

1. კომპანიის შესახებ

დასახელება: შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 416297509

რეგისტრაციის თარიღი: 30 იანვარი 2012 წელი

მისოდ რეგისტრაციის თარიღი: 4 ნოემბერი 2013 წელი

იურიდიული მისამართი: ქ.რუსთავი ლეონიძისა და მესხიშვილის ქუჩების გადაკვეთა.

დირექტორი: მახარე ჯამრიშვილი

ტელეფონის ნომერი: 0341 27 05 70

ვებ-საიტი: WWW.MJC.GE

2. შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“-ის საქმიანობის მიმოხილვა


შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“-ის, შემდგომში მოხსენიებული როგორც კომპანია, ძირითადი საქმიანობაა სესხების გაცემა, ხოლო დამხმარე საქმიანობაა ვალუტის კონვერტაცია, ავტოლიზინგი და ფულადი გზავნილები.

ბაზარზე კომპანია წარმოდგენილია ქალაქ რუსთავში ლეონიძისა და მესხიშვილის კვეთაზე არსებული ცენტრალური ოფისის, კოსტავას ქუჩაზე არსებული ფილიალისა და ქ.თბილისში დ.აღმაშენებლის N89-91 შენობებს შორის არსებული ფილიალის სახით. კლიენტებისთვის შეთავაზებული მომსახურება არ განსხვავდება ფილიალების მიხედვით.

კომპანიის კლიენტებს წარმოადგენენ რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები მთელი საქართველოს მასშტაბით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 8923 გაცემული სესხი 5437 ფიზიკურ პირზე.

კომპანია გაცემს მხოლოდ უზრუნველყოფილ სესხებს. კომპანიის ძირითადი პროდუქტებია:

1. ოქროს ლომბარდი.
2. ტექნიკის ლომბარდი.
3. იპოთეკური სესხი.
4. ავტო ლომბარდი.



დიაგრამიდან ჩანს რომ კომპანია ძირითადად გაცემს ოქროთი უზრუნველყოფილ სესხებს.

კომპანიას აქვს გაცემული სესხები ქართულ და უცხოურ ვალუტაში. ეროვნულმა ბანკმა 2017 წლიდან აკრძალა 100 000 ლარის ექვივალენტამდე სესხების გაცემა უცხოურ ვალუტაში. რამაც გამოიწვია უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების შემცირება.

ცხრილი 1. ქართულ და უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ნაშთები.

	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ლარში გაცემული სესხების ნაშთები	5 805 379	7 069 904	8 970 728	9 595 288	9 110 730
უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ნაშთები	1 496 431	1 033 088	642 942	421 066	285 740

ვალუტის კონვერტაცია კომპანიის დამხმარე საქმიანობაა. 2023 წლიდან კომპანია კლიენტებს სთავაზობს აშშ დოლარის, ევროს, რუსული რუბლის, ბრიტანული გირვანქა სტერლინგის, აზერბაიჯანული მანათის, თურქული ლირის, სომხური დრამის გაცვლას.

ზემოთ მიმოვიხილეთ ის ძირითადი საქმიანობები რომელთა მეშვეობითაც კომპანია იღებს შემოსავლებს. გარდა ამისა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული კორუფციასთან ბრძოლაში. კომპანია ებრძვის თაღლითობასა და ფულის გათეთრებას და აქტიურად თანამშრომლობს ეროვნული ბანკის შესაბამის განყოფილებებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი კაპიტალითა და მოზიდული სახსრებით. საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან.

ცხრილი 2. საკუთარი კაპიტალის შემადგენლობა წლების მიხედვით:

	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
განადგებული საწესდებო კაპიტალი	1 000 000	1 050 000	1 050 000	1 080 000	1 200 000
გაუნაწილებელი მოგება	1 397 902	1 577 638	1 796 528	2 236 643	4 240 769
საერთო რეზერვი	20 000	5 000	5 000	5 000	5 000
სულ კაპიტალი:	2 417 902	2 632 638	2 851 528	3 321 643	5 445 769

კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორია მახარე ჯამრიშვილი. შესაბამისად კომპანიაში შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპანიას ასევე კარგი საქმიანი ურთიერთობა აქვს ინვესტორებთან.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მოზიდული სახსრები აქვს თიბისი ბანკისგან და ფიზიკური პირებისგან. აღსანიშნავია რომ მთელი საქმიანი ურთიერთობის მანძილზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ ჰქონია ინვესტორებთან რაიმე უთანხმოება. კომპანია სრული პასუხისმგებლობით ეკიდება თავის ვალდებულებებს და დროულად იხდის დარიცხულ გადასახდელ პროცენტებს.

ცხრილი 3. მოზიდული სახსრების სტრუქტურა:

	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
ბანკებიდან ნასესხები სახსრები	2 299 980	3 573 468	4 854 904	4 849 711	5 008 816
ფიზიკური პირებისგან ნასესხები სახსრები	1 735 949	1 852 447	1 143 109	1 222 071	408 030
სულ მოზიდული სახსრები	4 035 929	5 425 915	5 998 013	6 071 782	5 416 846

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“-ში დასაქმებულია 23 ადამიანი. კომპანიის პერსონალი იყოფა ორ ნაწილად: ადმინისტრაცია და საოპერაციო ნაწილი.

კომპანიის ადმინისტრაცია წარმოდგენილია დირექტორის, მენეჯერის, დირექტორის მოადგილის, მთავარი ბუღალტრის, დამხმარე ბუღალტრის, AML სპეციალისტისა და იურისტის სახით.

კომპანიის საოპერაციო ნაწილი შედგება 1 კრედიტოფიცერისგან, 11 მოლარე-ოპერატორისგან და 4 მოლარისგან. კლიენტთა მომსახურება ხდება საოპერაციო ნაწილში. უზრუნველყოფის ღირებულების შეფასება და სესხის დამტკიცება ხდება საოპერატოროში. ხოლო სესხების გაცემა წარმოებს სალაროდან. ოპერატორებს არ აქვთ უფლება დაამტკიცონ 1000 ლარზე მეტი ღირებულების სესხი მენეჯერისა და დირექტორის ნებართვის გარეშე. იზოთეკური და ავტო სესხების გაცემა ხდება მხოლოდ დირექტორის ნებართვით.

კლიენტები გადახდებს აწარმოებენ სალაროში ნაღდი ფულის შემოტანით და ასევე საბანკო ანგარიშზე თანხის გადმორიცხვით. კომპანია კლიენტებს ემსახურება 24 საათის განმავლობაში.

3. კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიამ უკვე დანერგა ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები ონლაინ, ფილიალში მოუსვლელად ახერხებენ დავალიანებების შემოწმებას და გეგმავს დანერგოს სისტემა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები დავალიანების დაფარვას ონლაინ მოახერხებენ.

4. ინფორმაცია კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ

კომპანიას კვლევისა და განვითარების სფეროებში ღონისძიებები არ ჩატარებია.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

ისევე როგორც ნებისმიერ ბიზნესში, საფინანსო საქმიანობის სფეროშიც არსებობს რისკები და გაურკვევლობა. შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“-ზე მოქმედი რისკები შეგვიძლია დავყოთ შიდა და გარე რისკებად. შიდა რისკები არის ისეთი რისკები რომელთა სრული კონტროლი და აღმოფხვრაც შეუძლია კომპანიას.

კომპანიის შიდა რისკები იყოფა საოპერაციო და ფინანსურ რისკებად. საოპერაციო რისკების შესამცირებლად კომპანია ითვალისწინებს მარეგულირებელი ორგანოების ყველა სტანდარტს.

კომპანიას ოფისების უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული აქვს სასიგნალიზაციო სისტემა. ობიექტის ფანჯრები შემოსილია გისოსებით. ობიექტებს იცავს დაცვის პოლიცია.

კომპანიის ვიდეომეთვალყურეობის სისტემა განთავსებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შიგნით და გარეპერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შიგნით განთავსებულია ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს შემომსვლელი პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიკაცია.

კომპანიის სალარო აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სტანდარტებს. კომპანიის სალაროები არის არანაკლებ 4 კვადრატული მეტრი. აღჭურვილია ბრონირებული მინითა და რკინის სეიფებით. სალაროებს აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელები და ორ-ორი მასიური რკინის კარი. სალაროში მომუშავე პერსონალი არის მაღალკვალიფიციური და სანდო. სალაროში არის ფულის სათვლელი მანქანები და ყალბი ფულის შესამოწმებელი მოწყობილობები.

სესხების უზრუნველყოფის სახით მიღებული ძვირფასეულობა ინახება ბანკის სეიფში.

კომპანია სწორად მართავს ფინანსურ რისკებსაც, როგორიცაა ლიკვიდურობის რისკი და კაპიტალის ადეკვატურობა. კომპანიას მუდმივად აქვს იმის საშუალება რომ დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები. კომპანია არ გასცემს საბლანკო, არაუზრუნველყოფილ სესხებს რითაც მინიმუმამდე ამცირებს სესხის შესაძლო დაკარგვით მოსალოდნელ ზარალს. მიუხედავად იმისა რომ გაცემული სესხის თანხის ამოღება ნებისმიერ დროს შესაძლებელია უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით, კომპანია მაინც რეზერვებში ასახავს ვადაგადაცილებულ სესხებს ეროვნული ბანკის ინსტრუქციის შესაბამისად.

კომპანია ყოველთვის დროულად იხდის გადასახადებს.

გარე რისკებია ისეთი რისკები, რომელთაც კომპანია ვერ აკონტროლებს, მაგრამ შეუძლია მიიღოს გარკვეული ზომები ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად ან ზარალის მინიმუმამდე შესამცირებლად.

გარე რისკებია: მაკროეკონომიკური რისკები, ეროვნული ვალუტის ხშირი ცვალებადობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, ინფლაცია, სტიქიები და კატასტროფები, ასევე პოლიტიკური ცვლილებები და მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული რეგულაციები.

კომპანია განსაკუთრებით მგრძნობიარეა ეროვნული ბანკის რეგულაციების მიმართ. საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვარი, სესხების მოცულობის შეზღუდვა, უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემის შეზღუდვა რეალურად აფერხებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სწრაფ განვითარებასა და ზრდას. მიუხედავად ამისა რომ ეს შეზღუდვები არახელსაყრელია. კომპანია ითვალისწინებს აბსოლიტურად ყველა ახალ კანონსა და რეგულაციას.

კომპანია ცდილობს მზად იყოს ნებისმიერი ცვლილებისა და რისკისთვის.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“-ის დირექტორი

მახარე ჯამრიშვილი -----

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“-ის მთავარი ბუღალტერი

ლაშქარა ლაშქარაშვილი -----

გარე რისკებია ისეთი რისკები, რომელთაც კომპანია ვერ აკონტროლებს, მაგრამ შეუძლია მიიღოს გარკვეული ზომები ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად ან ზარალის მინიმუმამდე შესამცირებლად.

გარე რისკებია: მაკროეკონომიკური რისკები, ეროვნული ვალუტის ხშირი ცვალებადობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, ინფლაცია, სტიქიები და კატასტროფები, ასევე პოლიტიკური ცვლილებები და მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული რეგულაციები.

კომპანია განსაკუთრებით მგრძნობიარეა ეროვნული ბანკის რეგულაციების მიმართ. საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვარი, სესხების მოცულობის შეზღუდვა, უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემის შეზღუდვა რეალურად აფერხებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სწრაფ განვითარებასა და ზრდას. მიუხედავად ამისა რომ ეს შეზღუდვები არახელსაყრელია. კომპანია ითვალისწინებს აბსოლიტურად ყველა ახალ კანონსა და რეგულაციას.

კომპანია ცდილობს მზად იყოს ნებისმიერი ცვლილებისა და რისკისთვის.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“-ის დირექტორი

მახარე ჯამრიშვილი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MJC“-ის მთავარი ბუღალტერი

ლაშქარა ლაშქარაშვილი



30.09.2024